სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-041204

ქ. თბილისი 12 აპრილი **2019 წ.**

ერთის მხრივ **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის ანდრო ასლანიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „საკანცელარიო სახლი“ (ს/კ 404884764) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გელაშვილის სახით** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის“ საკანცელარიო საქონლის კერძოდ: **საკანცელარიო ჟურნალის** (CPV 22810000 - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები). **რვეულის** (CPV 22815000 - რვეულები), **ბლოკნოტების** (CPV 22816100 - ბლოკნოტები), **ბაინდერების** (CPV 22851000 - ბაინდერები) და **საქაღალდეების** (CPV 22852000 - საქაღალდეები) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3051.70 (სამიათას ორმოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.
5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ეკონომიკური სამსახურის, ინფრასტრუქტურის, განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი გულიზა კოვზირიძე.
5.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასა და ხელშეკრულების მოქმედების ვადების კონტროლს განახორციელებს ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის, განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი ეკა კუპრავა.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.
6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდეს მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის ფაქტობრივ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის N150.**
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი.

8 პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;
8.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 243 95 45	შპს ,,საკანცელარიო სახლი” ს/კ 404884764 მის: ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის 1ა ბანკი: სს ,,პროკრედიტ ბანკი” კოდი: MIBGGE22 ა/ა GE 82 PC 0203 6001 0001 8242 ტელ.: 591650005 ელ-ფოსტა: sakancelariosaxli1@gmail.com
ანდრო ასლანიშვილი სააგენტოს უფროსი	გიორგი გელაშვილი დირექტორი

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2019.04.12 15:36:59 +04'00'

შეთანხმებულია:

2019 წლის 12 აპრილის N01-041204 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	CPV	რაოდ. (ცალი)	ერთ. ფასი	საერთო ღირ.
1	2	3	4	5	6	7	8
1	ბლოკნოტი, A5, ტყავის მაგარი ყდით, უჯრიანი 125 ფურცლიანი, ფერი-შავი	ჩინეთი	Suo Lun Trade	22816100	80	6.5	520
2	ბლოკნოტი, A5, ტყავის მაგარი ყდით, ცალხაზიანი 100 ფურცლიანი, ფერი-შავი	ჩინეთი	Suo Lun Trade	22816100	140	7	980
3	ბლოკნოტი, ქართული ალფავიტით, ცალხაზიანი ა5 ტყავი, ფერი- ლურჯი მუქი ტონალობით.	ჩინეთი	Helio	22816100	30	5	150
4	საქაღალდე ფაილით, 60 ფაილიანი პლასტიკური	ჩინეთი	KS	22852000	100	3.8	380
5	ბაინდერი, A4, ჩასადები ფირნიშით (ასაწყობი), სიგანე-55მმ	ჩინეთი	Oulinwang	22851000	30	2.3	69
6	ბაინდერი, A4, ჩასადები ფირნიშით (ასაწყობი), სიგანე-75მმ	ჩინეთი	Ounan	22851000	30	2.3	69
7	საქაღალდე, პლასტიკური, A4, ზამბარიანი დამჭერით,	ჩინეთი	Bili	22852000	145	1.5	217.5
8	A4, რვეული, უჯრიანი 96 ფურცლიანი	საქართველო	იბერია 2005	22815000	190	1.8	342
9	საკანცელარიო ჟურნალი, A4, უჯრიანი 96 ფურცლიანი	საქართველო	იბერია 2005	22810000	40	1.8	72
10	საქაღალდე, ბაბთით, მუყაოს A4, ფერი- თეთრი	საქართველო	ერა	22852000	130	0.24	31.2
11	პლასტიკური რეზინით A4, ფერი-შავი	ჩინეთი	Tranbo	22852000	170	1.3	221
	სულ ჯამი:	3051.70 (სამიათას ორმოცდათერთმეტი ლარი და 70 თეთრი) დღგ–ს ჩათვლით					

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

მიმწოდებელი:
შპს „საკანცელარიო სახლი”

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი

გიორგი გელაშვილი
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს ,,საკანცელარიო სახლს'' შორის 2019 წლის 12 აპრილს №01-041204 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ანდრო ასლანიშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ ნინო სამადაშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ მაია სისვაძე

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ თეა წულაია

_____ გულიზა კოვზირიძე

_____ ეკა კუპრავა

_____ თამარ ყარსიმაშვილი

_____ ეთერ ალთუნაშვილი